

ონლაპეპსა პანდილატი

(დასასრული)

სხლომათა დარბაზში მხოლოდ სოკის წვევები რჩებიან, რომლებიც ეცნობიან კენჭისყრის რეგლამენტს. წინასწარ არის ცნობილი, რომ გამარჯვებისთვის რომელიმე კანდიდატმა 44 ხმა უნდა დააგროვოს. თუ პირველი ტური ვერ გამოავლენს გამარჯვებულს, კენჭისყრა განმეორდება მანამ, სანამ ვიღაც არ დააგროვებს ხმების საჭირო რაოდენობას. ყოველ ასეთ ტურში ბოლო ადგილზე გასული ქალაქი ბრძოლას ეთიშება.

პირველი ტური. ათენი — 23 ხმა, ატლანტა — 19, ტორონტო, — 14, მელბურნი — 12, მანჩესტერი — 11, ბელგრადი — 7. ეს უკანასკნელი სწყვეტს ბრძოლას.


მეორე ტური. ათენი — 23, მელბურნი — 21, ატლანტა — 20, ტორონტო — 17, მანჩესტერი — 5. მანჩესტერი თამაშიდან გადის. მესამე ტური. ათენი — 26, ატლანტა — 26, ტორონტო — 18, მელბურნი — 16. მელბურნი სწყვეტს ბრძოლას.

მეოთხე ტური. ატლანტა — 34, ათენი — 30, ტორონტო — 22. ტორონტო ეთიშება კონკურსს.

მეხუთე ტური. ატლანტა — 51 ხმა, ათენი — 35 ხმა.

სკენაზე გამოდის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, ხსნის თეთრ კონფერტს, რომელშიც შეტანილია ბოლო ტურის კენჭისყრის შედეგები და აცხადებს, რომ 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს... ატლანტა.

კატბურთი ამერიკაში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა და არ არის გამორიცხული, რომ ეს თამაში ატლანტის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა თამაშების პროგრამაში შეიტანონ. ფოტოზე აღბეჭდილია ატლანტის კატბურთელთა სტადიონი აშშ-ის ჩემპიონატის ერთ-ერთი კალენდარული შეხვედრის დროს.



ატლანტის პრეზენტაცია

ატლანტა — ქალაქი აშშ-ის საბრტო აღმოსავლეთში, ჯორჯიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი. თავად ჯორჯია ერთ-ერთი შტატია ცამეტიდან, რომელმაც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულის სტატუსი პირველმა მიიღო. იგი სამხრეთის შტატად ითვლება, რომელიც გაშლილია ატლანტისპირეთის დაბლობზე და აპალაჩის მთებს ებჯინება. მოსახლეობის ერთი მეხუთედი ფერადკანიანებს შეადგენენ. ჯორჯიის კოლონიზაცია (რაციონი სუბტროპიკული კლიმატით გამოირჩევა) დაიწყო მე-18 საუკუნის პირველ ათწლეულში.

ატლანტა, რომელშიც ნახევარმილიონამდე კაცი ცხოვრობს (გარეუბნებით — 3 მილიონამდე), აშშ-ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საავტორო-საფინანსო და სამრეწველო ცენტრად ითვლება. აქ არის თავმოყრილი საავტომობილო, ავიასარაკეტო, ქიმიური, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დიდი ობი-

ექტები. ქალაქი განთქმულია იმიტაც, რომ მასში განლაგებულია „კოკა-კოლას“ ინდუსტრიის მმართველობა და ცენტრი.


ატლანტა თავისი საერთაშორისო აეროპორტით „პართსფილდით“ აშშ-ს უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო კვანძს წარმოადგენს. ამ ქალაქში გადის რკინიგზის 11 ხაზი და 17 გზატკეცილი. ატლანტა, ამავე დროს, დიდ კულტურულ და სამეცნიერო ქალაქად ითვლება, რომელიც განთქმულია უმაღლესი სასწავლებლებითა და მუზეუმებით. სხვათა შორის, ატლანტის ერთ-ერთი ღირსშესანიშნოადალ მიიჩნევენ შუკანიანთა უფლებებისთვის მებრძოლ მარტინ ლუთერ კინგის საფლავს.

ატლანტა დაარსდა 1837 წელს, როგორც რკინიგზის რიგითი სადგური. 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის დროს იგი მთლიანად დაინგრა. ხელახლა ქალაქი გააშენეს XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისში.



თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, რომელიც 1988 წელს აშენდა. იგი ქალაქის მკვიდრთა შორის გასაგები მოპულარობით სარგებლობს და ითვლება არქიტექტორ რიჩარდ მიერის შემოქმედების შედეგად. ხუთსართულიანი შენობა უამრავ სადემონსტრაციო და რბაზს მოიცავს.

ატლანტა მდიდარია ტყე-პარკებითა და მწვანე მანქანებით, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის დასვენების საყვარელ ადგილებს წარმოადგენს. „მიდმონტ-პარკში“ ხშირად ეწყობა საპერო ბუშტების ფერადოვანი და ეფექტური ზეიმი. უკანა პლანზე კი მოჩანს ატლანტის ერთ-ერთი სტადიონის ხედი.



ყველა ოლიმპიკი

დღეს, როცა უკვე ცნობილია XVI ოლიმპიური თამაშების ადგილსამყოფელი, აღბათ უპრაიანი იქნება, გავიხსენოთ, ხად და როდის ჩატარებულა ზაფხულის ყველა ოლიმპიკი:

- I 1896 წელი. ათენი (საბერძენეთი)
- II 1900 წელი. პარიზი (საფრანგეთი)
- III 1904 წელი. სენტ-ლუისი (აშშ)
- IV 1908 წელი. ლონდონი (ინგლისი)
- V 1912 წელი. სტოკჰოლმი (შვეცია)
- VI 1916 წელი. არ ჩატარებულა
- VII 1920 წელი. ანტვერპენი (ბელგია)
- VIII 1924 წელი. პარიზი (საფრანგეთი)
- IX 1928 წელი. ამსტერდამი (ჰოლანდია)
- X 1932 წელი. ლოს-ანჯელესი (აშშ)
- XI 1936 წელი. ბერლინი (გერმანია)
- XII 1940 წელი. არ ჩატარებულა
- XIII 1944 წელი. არ ჩატარებულა
- XIV 1948 წელი. ლონდონი (ინგლისი)
- XV 1952 წელი. ჰელსინკი (ფინეთი)
- XVI 1956 წელი. მელბურნი (ავსტრალია)
- XVII 1960 წელი. რომი (იტალია)
- XVIII 1964 წელი. ტოკიო (იაპონია)

- XIX 1968 წელი. მეხიკო (მექსიკა)
 - XX 1972 წელი. მიუნჰენი (გერ)
 - XXI 1976 წელი. მონრეალი (კანადა)
 - XXII 1980 წელი. მოსკოვი (სსრკ)
 - XXIII 1984 წელი. ლოს-ანჯელესი (აშშ)
 - XXIV 1988 წელი. სეული (სამხრ. კორეა)
 - XXV 1992 წელი. ბარსელონი (ესპანეთი)
 - XXVI 1996 წელი. ატლანტა (აშშ)
- როგორც ხედავთ, სამმა ქალაქმა ოლიმპიურ თამაშებს ორ-ორჯერ უმასპინძლა. ესენია: პარიზი (II და VIII), ლონდონი (IV და XIV) და ლოს-ანჯელესი (X და XXIII). კონტინენტებს შორის ყველაზე ხშირად ოლიმპიური თამაშები (უკვე ცნობილი ბარსელონისა და ატლანტას ჩათვლით) ჩატარებული აქვს ევროპას — 14-ჯერ. შემდეგ მოდიან ამერიკის — 6-ჯერ, აზიის — 2-ჯერ და ავსტრალიის — ერთხელ — კონტინენტები. როგორც ხედავთ, ოლიმპიკი ჯერ არ გამართულა აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში.
- რაც შეეხება შეერთებულ შტატებს, ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს იგი მეოთხეჯერ უმასპინძლებს (ამერიკის ქალაქები ლეიკ-პლესიდი და სკო-ველი ზამთრის სამი ოლიმპიადის მასპინძლები არიან. ლეიკ-პლესიდი ამ თამაშებს 1932 და 1984 წლებში მასპინძლობდა, სკო-ველი კი 1960 წელს).



ატლანტის ღირსშესანიშნოადა მარტინ ლუთერ კინგის საფლავიც. ფერადკანიანთა თავისუფლებისა და უფლებებისათვის მებრძოლი კინგის სახელი ატლანტელთა სიყვარულითაა გარემოცული. ამ საფლავს უცხოელი ტურისტებიც ხშირად აკითხვენ.

ატლანტაში ბლომადაა მსხვილი სამრეწველო ობიექტები, მათი ოფისები, მაგარამ, ამის მიუხედავად, ატლანტა ეკოლოგიურად საოცრად სუფთაა. მოსახლეობა მწვანე გარემოს უყვლის, ამრავლებს და ალბათ, ამიტომ არც ცათამბეჭენების შენეებლობას ეწინააღმდეგება.



